სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N5879461 04/04/2022 გადაწყვეტილების N1 პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^5 მუხლში 2022 წლის 1 მაისიდან ძალაში შევიდა ცვლილება და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრა „იმ სამშენებლო სამართალდამრღვევის მიმართ, რომელსაც 2022 წლის 1 მაისამდე ჩადენილი აქვს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა და რომლის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებული არ არის, არ დაიწყებს შესაბამისი საქმის წარმოებას, ხოლო თუ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებულია, მაგრამ დადგენილება მიღებული არ არის, იღებს დადგენილებას დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.“

ვინაიდან განმცხადებლის მხრიდან ვერ განხორციელდა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით გათალისწინებული ვადების დაცვით საეტაპო ოქმების შედგენა, (2023 წლის 1 იანვრამდე კანონი გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან/ჯარიმისგან) აღნიშნული მიზეზით ხდება AR 1889563 განცხადებით წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის შეთნხმება, რომლის დამატკიცების შემდეგ განახორციელებს განმცხადებელი საეტაპო ოქმების შეთანხმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, შეითანხმოთ AR1889563 განცხდებით წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების გრაფიკი.